



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49203602

თარიღი:25/12/2020

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №36 87

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემისას ყოველწლიური საზღაურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482035282, 17/12/2020) წერილი, რომელშიც ითხოვს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემისას, ყოველწლიური საზღაურის ოდენობის განსაზღვრას წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემისას, ყოველწლიური საზღაურის ოდენობა განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში

(მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 2020 წლის 25 დეკემბრის №36 87 განკარგულების
 დანართი №1

ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი	ყოველწლიური საზღაური
2	3	4	6
ქალაქი წყალტუბო, 26 მაისის ქუჩა N2	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-600 კვ.მ	29.08.32.528	1980 ლარი
ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა, ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-4677 კვ.მ	29.08.32.532	15434 ლარი